

თვითმპყრობელი რუსეთის ბრძოლა ქართული  
საეკლესიო ენის წინააღმდეგ (XIX საუკუნის II  
ნახევარში)

ქართული სახელმწიფოს ფორმირებისა და განვითარების  
როდესაც უდალა მართლმადიდებლური ეკლესიის როლი. მას-  
ვე უდიდესი ისტორიული გამოცდილება აქვს ქართველი ხალხის გან-  
მათავისუფლებელი ბრძოლებისა და საზოგადოების ეროვნული სუ-  
ლისკეთებით განმსჭვალვის საქმეში.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეკლესია ამ  
ძირეული ეროვნული ფუნქციების დაკარგვის რეალური საფრთხის წი-  
ნაზე აღმოჩნდა. თვითმპყრობელობისათვის ნათელი იყო, რომ თავისი  
პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებას ეერ მოა-  
ხერხებდა ეკლესიის რეორგანიზაციის გარეშე, რადგან ქართული ეკ-  
ლესია ვერც თავის სტრუქტურითა და ვერც სასულიერო პირთა შე-  
მადგენლობით ცარიზმს სათანადო სამსახურს ეერ ვაუწყებდა. სწორედ  
ამიტომ საქართველოს დაპყრობისთანავე, თვითმპყრობელობა შეუდგა  
საეკლესიო რეფორმის გატარებას - რუსულ ყაიდაზე მის მოსაწყობ-  
ებად. ხელისუფლების შესაბამისი პოზიცია იკვეთება, ჯერ კიდევ, მთა-  
ვარმართებელ ციციანოვის მოთხოვნაში (1803 წ.), რომლისთავე გენერალ-  
ი კათალიკოს ანტონ მეორეს მოუწოდებდა ევარქიების შემცირებისა  
და რიგ მაღალ სასულიერო იერარქთა დათხოვნისაკენ. საქართველო-  
ში ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკის დაგვირგვინებად იქცა 1811  
წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის  
გაუქმება და 1815 წელს „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტო-  
რის“ შექმნა.

საქართველოს საეკლესიოს მიერ გატარებული საეკლესიო პო-  
ლიტიკა, პირველ რიგში, ცარიზმის რუსიფიკატორული კურსის გაძლი-  
ერებას ემსახურებოდა. ამ მიზნის მოსაღწევად ხელისუფლება და მისი  
მორჩილი წმინდა სინოდი ევზარქოსებად ქართველი კრისა და მისი  
მრავალსაუკუნოვანი კულტურისადმი მტრულად განწყობილ პირებს  
ამწყსებდა.

ამ მტრული ძლისხმევის შედეგად არაერთი ეკლესია-მონასტე-  
რი გაუქმდა, დაიხურა სასულიერო და საერო სასწავლებლები, რომ-  
ლებშიც იმ დროის მოწინავე პედაგოგიური ტრადიციების შესაბამისად  
მიმდინარებოდა საგანმანათლებლო პროცესი. ხელისუფლება ადგი-  
ლობრივი სამღვდელმთავრო კათედრების მოწოდის პარალელურად,  
არც ქართველი ხალხისათვის ტრადიციული ღვთისმსახურებისა და  
საეკლესიო სიწმინდეთა (ფრესკები, ხატები, რიტუალური დანიშნულე-  
ბის საეკლესიო ნივთები) ხელალებით შეურაცხყოფას ერიდებოდა,  
რომ არაფერი ვთქვათ ქართული ენის ამოსაძირკვად გამიზნულ ღო-  
ნისძიებებზე.

თვითმპყრობელობის ერთგულებით გამორჩეულ ევზარქოსთა  
საქმიანობის დედააზრი მთელი სიცხადით იკითხება შავრაზმელი  
მღვდელის იოანე ვოსტორგოვის პროგრამული ხასიათის მქონე გამ-  
ნათქვამში - „საქართველოს ევზარქოსს, უპირველეს ყოვლისა, უნდა  
ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავისი ენერჯია მოახმაროს  
ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“ (2, 20). რუსე-  
თის იმპერიისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამო-  
ცანა ევზარქოსს უნდა განეხორციელებინა აკრძალვის, ჩახშობისა და  
ადკვეთის უხეში საშუალებებით, სახელმწიფო ორგანოებთან კავშირ-  
ში და, რა თქმა უნდა, მათი შეხედულებებისამებრ.

თვითმპყრობელობის მნიშვნელოვანი კურსმა, რაც საბოლოო  
ჯამში, ქართველი ხალხის ასიმილაციას გულისხმობდა, ეკლესიაზე მკა-  
ფიოდ, სახელმწიფო, საეკლესიო და საგანმანათლებლო უწყებებიდან  
მშობლიური ენის განდევნის დამკვიდრებულ პრაქტიკაში იზინა თავი.  
ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურების უცხო (რუსულ) ენაზე წარ-  
მოებად, სასულიერო იერარქიის ტრადიციული აპარატის მოშლამ, ბუ-  
ნებრივია, ნეგატიურად იმოქმედა ეკლესიის ავტორიტეტზე - შესუს-  
ტდა სარწმუნოების გავლენა მასაზე, მორწმუნეთა ნაწილი ჩამოშორდა  
მას.

თვითმპყრობელობის პოლიტიკით გამოწვეული ქართველი ერის  
სარწმუნოებრივ - ხეობრივი შევიწროება აღუნიშნავი არ დარჩენილა  
იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში, რომლებიც ცენზურის უმტკი-  
ცესი მეთვალყურეობის პირობებშიც, სერიოზული რისკის ფასად,  
ახერხებდა ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის სააშკარაოზე გამო-  
ტანას. აღნიშნული კი ქართველი საზოგადოების უკურეაქციას იწვევ-  
და, რადგან ღვთისმსახურების რუსულ ენაზე ძალდატანებით წარმოე-  
ბის მძიმე შედეგები მოჰყვა - ხალხი თანდათანობით დასცილდა ეკ-  
ლესიას - თვით საეპარქიო ტაძრებიც საეკლესიო დღესასწაულებს  
მრევლის გარეშე ხედებოდნენ (12, №207); საქართველოს ევზარქოსს  
ვესევის იმერეთის ეპარქიის დათვალეურებისას, ფაქტიურად, დაცარიე-  
ლებულ ეკლესიებში უხედებოდა სახეიმო წირვა-ლოცვის გამართვა;  
მოგვიანებით, 90-იან წლებში, ამავე პრობლემაზე ამახვილებდა ყურად-  
ღებას ევზარქოსი ელადიმირიც (50, 6) - „ხალხი აღარ დაიარება ეკ-  
ლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად, გაუგრილდა მას გული ეკლესი-  
ებში სიარულზე; ვიღას ნახაუთ ბატონო ეკლესიებში კვირა-უქმ დღე-  
ებში?“ (5, №18,1) - მსგავსი პუბლიკაციებით აღსავსეა XIX საუკუნის  
მეორე ნახევრის ქართული პრესა.

საეკლესიო ხელისუფლებისადმი კრიტიკულმა წერილებმა საე-  
ზარქოსოს შემოფოთება გამოიწვია. ცენზურისადმი მიმართვაში ვკით-  
ხულობთ, რომ გახუთებში: „დროება“, „ივერია“, „კავკასი“... და სხვ.  
გამოქვეყნებული პუბლიკაციები გამიზნულად ახლენდნენ უმაღლეს  
სამღვდელო პირთა დისკრედიტაციას; ხელისუფლებისათვის შემაშფო-  
თებელი იყო ე. წ. „ცილისმწამებლური“ ხასიათის წერილების ეროვნუ-  
ლი მიმართულება (16, 1).

ასეთი არასასურველი პრეცედენტის გამოხარისხად საეგზარქოსო მზადყოფნას გამოთქვამდა მჭიდროდ ეთანამშრომლა ცენზურასთან. მეტი სიფრთხილისათვის იგი შესაბამისი შინაარსის წერილების გამოქვეყნების უფლებას, ამიერიდან სახულიერო უწყების დადებითი დასკვნების საფუძველზე გასცემდა (16, 3).

ქართველი სამღვდლოების სამართლიან შემოფარებას იწვევდა საზოგადოებაში ფეხმოკიდებული სარწმუნოებრივი ინდიფერენტისმი, რომლის აღმოფხვრასაც „კარგად გაწობილ საეკლესიო გალობას და საეკლესიო წიგნების კარგად და გაგებით კითხვას“ უკავშირებდნენ (5, №18,1). სიტყვა „კარგად“-ში ქართველი სამღვდლოება ეროვნულ ელემენტს მოიაზრებდა, რომლის დასტურიც არის ქართველი ხალხის ეროვნული ღვთისმსახურებისადმი დიდი იტერესი – იმ ეკლესიებში, სადაც წირვა ღოცვა ქართულად ტარდებოდა ხალხი შესაშურ სარწმუნოებრივ გულმოდგინებას ამჟღავნებდა (12, №25).

კარიზმის საეკლესიო პოლიტიკის უკიდურესი დამიმეების ნიმუში იყო გაზ. „კავკასიში“ გამოქვეყნებული ცირკულარი (1897წ. 1 თებერვალი): „...იმ ეკლესიებს, რომლებსაც მოუპოვებთ საღვთისმსახურო წიგნები სლავიანურ ენაზე, ან მრევლი ფლობს რუსულ ენას, ღვთისმსახურება შესრულდეს საეკლესიო-სლავიანურ ენაზე“ (15, №253). აღნიშნულისადმი ქართველი ხალხის მწვავე რეაქციამ გაზ. „კავკასიის“ რედაქციას, მთავრობასთან შუამდგომლობისაკენ უბიძგა და მმართველობას შემდეგი კომპრომისი შესთავაზა: იქ, სადაც ქართველი მრევლი მრავალრიცხოვანია წირვა მშობლიურ ენაზე უნდა ჩატარებულიყო, ხოლო მათი სიმცირის პირობებში მღვდელმსახურება რუსულ-სლავიანურად უნდა წარმართულიყო (15, №253). ამრიგად, საკითხი უნდა გადაჭრილიყო ეთნიკური კუთვნილების სტატისტიკის მიხედვით. მით უფრო, რომ სახარება ღვთისმსახურებაში უშეუბნებლად ნებისმიერი ენის გამოყენების უფლებას და ამ სახის შეზღუდვები ვერასოდეს წაადგებოდა ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდისა და რწმენის განმტკიცების საქმეს. ამავე საკითხის სწორ გააზრებას ეხედვით შურნალ „კვანის“ პუბლიკაციაში (14, №18, 1-2), სადაც აღნიშნულია, რომ ქრისტიანული საღვთისმსახურო ტრადიციები თავიდანვე ნაციონალურ საფუძველზე ყალიბდებოდა და მოცემული მრავალფეროვნება პოზიტიურად მოქმედებდა რწმენის სიმტკიცეზე იმით, რომ ეროვნულ-კულტურულ გარემოსთან სარწმუნოებრივი პრინციპების შერწყმას უწყობდა ხელს.

რუსულ-სლავიანური გალობა უცხო იყო ქართველი საზოგადოებისათვის არა მარტო ლექსიკით, არამედ თავისი მელოდიურობითაც – „ქართულ წირვა-ლოცვას მხოლოდ ქართული გალობა აქვს შესისხლხორცებული, მხოლოდ ასეთი წირვა-ლოცვა და გალობა მოპკვრის გაციებულ გულს სასობებს და სხვა კი ვერა“ (13, №26, 7-8). ქართული საეკლესიო გალობის დაცემას კი, შურნალის რედაქცია, გარდა ოფიციალური ამკრძალველი კურსისა, ქართული ენის დევნა-შევიწროებასა და, ზოგადად, ქართული კულტურული და ლიტერატურული ტრადიციების გაუცხოებასაც უკავშირებდა (13, №26, 7-8).

ქართულ საეკლესიო გალობას უბევლესი ისტორიული ტრადიცია აქვს. საქართველოს ეგზარქოსთა წაქეზებით უწმინდესმა სინოდმა სახულიერო სასწავლებელში ჯერ შეამცირა მისთვის განკუთვნილი გაკვეთილები, ხოლო შემდეგ რუსული გალობის შესწავლით ჩაანაცვლა. რუსულის უცოდინარობის გამო, აღსაზრდელთ ქართულ ენაზე რუსული ნოტებით ასწავლიდნენ გალობას. ასეთი პრაქტიკით მახინჯდებოდა და საერთოდ იშპობოდა ქართული საეკლესიო ბგერები, დაუნდობლად იღვევებოდა მშობლიური ენა, ეკლესია კარგავდა ეროვნულ ხასიათს (1, 191). არადა, დეკანოზ დ. დამბაშიძის განმარტებით, ქართულ გალობას განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიყვარულით ეპყრობოდა ხალხი, მონდომებით სწავლობდა მას და კარგი შესრულებით თაგმომწინებოდა კიდევ: „ყო დრო, როდესაც საქართველოში დიდი ყურადღება მქონდა მიქცეული საეკლესიო გალობაზე მღვდელსაც და ერსაც დიდსა და პატარას, თავადსა და გლეხს საქმბრად მიანდათ საეკლესიო გალობის ცოდნა, მაგრამ დღეს ჩვენმა ქართველებმა ამ საგნის შესახებ იცვალეს ფერი“ (5, №18,1). და ეს, არც იყო მოულოდნელი – სახალხო სკოლებში საეკლესიო გალობისათვის განკუთვნილი საათები, რუსული სამხედრო მარშების გაუაზრებელ დახუთხვას ეთმობოდა (8, №207).

ქართული გალობის დახვეწილობა და მრავალხმიანობა, მსმენელზე მისი გამაკეთილშობილებელი გავლენის მნიშვნელობა კარგად ესმოდა ქართველ სამღვდლოებს და ყოველი ღონისძიებით, ხელი-სუფლების ამკარა წინააღმდეგობის მიუხედავად, ცდილობდა ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე ჩატარებას. ასეთ შემთხვევაში ეკლესიები აღარ განიცდიდა მორწმუნეთა ნაკლებობას, ქართულ წირვა-ლოცვასა და გალობას მონატრებული საზოგადოება, როდესაც მისი მოსმენის საშუალება ეძლეოდა, გულმოდგინედ მონაწილეობდა საღვთისმსახურო პროცესში – „1893 წლის 10 ივნისს მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიაში ჩატარებულ იქნა წირვა-ლოცვა და გალობა ქართულ ენაზე“ (13, №26, 7-8) – რასაც ქართველი საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა დასწრებია.

XIX საუკუნეში ქართულ ღვთისმსახურებას და გალობას განადგურების საფრთხე დაემუქრა: „მეტყველება დაიცვა, წიგნები გვიბდება და ახლანდელი ქართული გალობაც რიდასიც ანრდადს წარმოადგენს“ (13, №26, 7-8). საუკუნეების მანძილზე შესისხლხორცებული და გათავისებული ქართული წირვა-ლოცვა, დღესაც ისევე სასურველია ხალხისათვის, როგორც, ძველად, თითოეული მამულიშვილის სურვილია: „მშობლიური მეტყველება – გალობა უმაღლეს ხარისხამდე ასულიყვეს და ერს წინამძღვრად გახდომოდეს, თორემ სარწმუნოებრივთა გრძნობათა დამახინჯება ერის გადაგვარებას ნიშნავს“ (13, №26, 7-8).

უკიდურესად შეზღუდული შეხედულებების მიუხედავად პერიოდული გამოცემები მაინც ახერხებენ ჩვენში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის ასახვას, ქართული ეკლესიის განადგურების პროცესისადმი საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირებას.

აღნიშნული პრობლემატიკისადმი არაერთგვაროვანია რუსულენოვანი პუბლიცისტიკის მიდგომა. მღვდელმსახურებისას ქართულად წირვა-ლოცვის უბუნებლობის ფაქტებზე საუბარია რუსულ გაზეთში „სოვერენის იზვესტიას“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში. ავტორი გულახდილად საუბრობს ასეთი პრაქტიკის ავადმყოფი შედეგზე – ხალხსა და ეკლესიას შორის კავშირის გაწყვეტაზე. სტატიაში ასევე გამოხატულია სასწავლო დაწესებულებებიდან ქართული ენის დევნის ფაქტები: „არც ერთი სემინარიის კურსის საგანს არ ასწავლიან ქართულს ენაზე; ქართული ენისათვის არ არის საკუთარი კათედრა. ქართული ენის ლიტერატურის სწავლება, როგორც სასულიეროსი, აგრეთვე სახორციელოსი სრულდება რუსულ ენაზე“ (11, №17).

განსხვავებულია კურნალ „კერკოენო ობშესტვენნი ვესტნიკ“-ის, პუბლიცისტის პოზიცია. იგი „ხოვოე ობოზრენიე“-ში გამოქვეყნებული ვინმე ბ. სოსლანის თვალსაზრისზე დაყრდნობით დასაბამითაა ქართველთა მცირედმორწმუნეობაზე აკეთებს აქცენტს და ამით ცდილობს ახსნას საზოგადოების სარწმუნოებრივი გულგრილობა (4, №15, 10). პუბლიკაციაში ტენდენციურადაა გაშუქებული ქართული ეკლესიის თანამედროვე ვითარება: ამასთან, იგი შეიცავს ჩვენი წარსულის დამამცირებელ მსჯელობას – ავტორი გვარწმუნებს, რომ გაუნათლებელ მღვდმარუბაში მყოფმა ქართველობამ ვერ შეითვისა ქრისტეს მითღერება, ვერ ნასწავდა მის არსს და, რომ, თითქმის, ქრისტიანობას ჩვენი ისტორიული ყოფისათვის მნიშვნელოვანი კვალი არც კი დაუჩენია...

ცარიზმის მორიგ მიზანს შეადგენდა სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში მღვდელმსახურების ადგილობრივ ენებზე წარმოება. გაჩნდნენ ისეთი „წმინდა მამებიც“, რომლებმაც იკისრეს მეგრულად საღვთო წიგნების თარგმნა, მაგრამ თარგმანი ღვთისმსახურებისათვის შეუფერებელი გამოდგა. ამის შესახებ კურნალ „აქვემსი“ ვკითხულობთ, რომ „ხოციერთმა ვაჟბატონმა განიზრახეს თავის გამოჩენა და შეუდგნენ ქართული ენისგან მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთისმსახურების გადათარგმნას. მათ კიდევ სცადეს ხოციერთ ეკლესიაში ღვთისმსახურების შესრულება მეგრულს ენაზე. მაგრამ მლოცველები წყვეა-კრულვით სტოვებდნენ ტაძრებს, გარბოდნენ ეკლესიებიდან და ლანძღვა-გინებით იხსენიებდნენ მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთისმსახურების მთარგმნელთ“ (7, №22, 3).

თვითმპყრობელობა საქმის გადავილების მიზნით უკვე გამზადებულ სლაჟურ საეკლესიო ენაზე შესრულებულ წიგნებს სთავაზობდა სამეგრელო- სვანეთის და აფხაზეთის მცხოვრებთ. ამრიგად, ამ კუთხეებში ქართული ეკლესია უნდა მოსპობილიყო და გაბატონებულიყო რუსული ეკლესია (10, №196) (6, №20, 2).

ქართველი სამღვდლოება იმთავითვე გამოდა მეგრულად წირვა-ლოცვის შემოღებას, რადგან ეს გაუმართლებელი იყო როგორც ეროვნული, ისე საეკლესიო თვალსაზრისით. გარდა ამისა, მეგრული ენა არ იძლეოდა საღვთო წერილის შინაარსის სრულფასოვნად გადმოცემის საშუალებას. ამ საბუთით 1889 წლის 18 აპრილს ახალ-სენაჯში ჩატარებულ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოების კრებას

ერთხელ (42 წევრით) გადაუწვევტის შეჩერებულიყო წამოწყებული კამპანია (9, №89). სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებში ქართული წირვა-ლოცვის ხანგრძლივობასა და მისი შეცვლის მიზანშეწონილობაზე საუბარია წერილში „მეგრულ ენაზე ლოცვების და წირვის წესის გადათარგმნის გამო“ (6, №9,1). წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ქართული ეკლესიის ერთობას საფრთხე სახელმწიფოს დაშლისა და კუთხური განკერძოების ისტორიულ ეპოქებშიაც არ შექმნია.

მიუხედავად ასეთი ისტორიული რეალობისა, ხელისუფლება საკუთარი სანაფიქრის ხისრულეში მოსაყვანად ცდას არ იშურებდა. ცარიზმის აგენტები ცდილობდნენ კუთხური სეპარატიზმის გაღვივებას, მოსახლეობის დარწმუნებას – თითქოს მეგრელი ხალხი არაქართული ეთნიკური წარმომავლობისა იყო და, რომ ქართული სახელმწიფო მეგრულთა ახიმილაციას მიმართავდა, როდესაც მათ მეგრულის მაგიერ მშობლიურ ენად ქართულს სთავაზობდა.

ისტორიული ხინამდვილის ასეთი დამახინჯება წვენი საზოგადოების ადგილობრივ რეაქციას იწვევდა. ქართული პუბლიცისტიკა დასაბუთებულად აბათილებდა ავისმოსურნეთა უბადრუკ მოსაზრებებს და მკითხველთ რთული რეალობის შესწავლით სიფიხისსაკენ მოუწოდებდა: „უძველესი დროიდან მოყოლებული ვერავითარმა ისტორიულმა შევიწროებამ და უბედურებამ ვერ შესძლო ქართული ენის მოსპობა სამეგრელოში და დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს რა საჭიროება არის ისეთი, რომ სურთ ქართული ენა გააძეონ არა თუ მარტო სკოლებიდან, არამედ ეკლესია-მონასტრებიდან. და სურთ შემოიღონ მეგრული, რომელზედაც არ სწარმოებდა ღვთისმსახურება მკლესიებში და არც სკოლებში ასწავლიდნენ მას“ (7, №20, 2).

ქართული ენის აღკვეთის კამპანიის გაგრძელებად იქცა 1892 წლის სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოების კრება, სადაც სასულიერო პირებს წინადადება მისცეს განეხილათ მეგრულად თარგმნილი ლოცვები საღვთო სჯულის სასწავლებლად. სამღვდლოება იმდენად გააკვირვა ასეთმა წინადადებად, რომ მათ სრულიად უჩერადობოდ დატოვეს ეს მოთხოვნა და მწარედ დააფიქრა არსებულმა რეალობამ – „მაშ, ვის სურს, რომ ღვთისმსახურება და ლოცვები, რომლებიც ძველი დროიდან სრულდება სამეგრელოში ქართულს ენაზე, დღეს შესრულებულ იქმნეს მეგრულს ენაზე? ...ამ ახალი წესწობილების მოთავე პირები სულ რამოდენიმე კაცია... რომლებიც თავგამოდებით ცდილობენ, რომ სამეგრელოს სახალხო სკოლებიდან სრულებით გამოაძეონ ქართული ენის სწავლება და მის მაგიერ შემოიღონ მეგრული ენა... საჭიროდ მიიჩნიათ მეგრულს ენაზე შემოიღონ ღვთისმსახურების შესრულება“ (7, №20, 2).

ნიშანდობლივია, რომ თვითმპყრობელობის მხარდამჭერად ქართველი სამღვდლოების ერთი ნაწილიც გამოდიოდა. ისინი ენერგიულად შეუდგნენ სასულიერო წიგნების მეგრულად თარგმნას და მოსახლეობაში მათ გავრცელებას – „ხოციერთი უმეტარი და მეტიწარა ჩვენი სასულიერო მამების წყალობით ნელ-ნელა, აშკარათ იცვლება ის ეკლესიური წესი და ჩვეულება, რომელიც ასე დიდი ხნის განმავ-

ლობაში ყოფილა დამყარებული და დაცული ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც ათასი წლით შეჩვევია და შეთვისებია ჩვენი ხალხი! - არა თუ ქალაქებში სოფლებშიც კი შემოიღეს ამ ბოლოს დროს ხალხისათვის უცხო ენაზე წირვა-ლოცვა!" (14, №27,3).

აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება - გადაგვარების საკითხი ყველაზე უცილობელ და მტკივნეულ საკითხად იდგა ცარიზმის პოლიტიკაში. სასურველი მიზნების განხორციელებაში მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნდა უშუალოდ აფხაზეთ ენაზე საეკლესიო ლიტურატიურის თარგმნასა და წირვა-ლოცვის აფხაზეთად წარმოებას. ცარიზმში მხარის რუსიფიკაციის შედარებით გამარტივებულ მოდელს იმუშავებდა - სოხუმის ეპარქიიდან ქართველი სამღვდლოების გაძევებასა და საეკლესიო მსახურების რუსულ ენაზე წარმოებას - „და არავითარ შემთხვევაში ქართულად“ (3,25). თვითმპყრობელობა ამ შემთხვევაშიც ცდილობს მცირერიცხოვანი ხალხების ეროვნული ინტერესების დამცველის როლი ითამაშოს - აფხაზეთს არ ესმით ქართული ღოცვა, ქართველი სამღვდლოებაც ვერ დგას სათანადო სიმღელეხზე ნაცვლად იმისა, რომ მან ხალხის სარწმუნოებრივ-ხელობრივი მდგომარეობის ამაღლებაზე იზრუნოს, ეკლესიას მათი გაქართველების იარაღად იყენებს... ხელისუფლება ამ არგუმენტებით ცდილობდა დაეცაბუთებინა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფა და წმინდა სინოდისადმი მისი დაქვემდებარების აუცილებლობა. სწორედ ამგვარ სულისკეთებას ნურგავს აფხაზ ხალხში ფ. გერშელმანი: „ჩვენ აუცილებლად ვთვლით იმ სახის გადამტრედი ღონისძიებების გატარებას, რომელიც სოხუმის ოლქის ეკლესიას დაიცავს საქართველოს გავედენისაგან, რაც ოლქის მცხოვრებთა გაქართველებამდე მიგვიყვანს: ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სოხუმის ეპარქიას სათავეში უდგას რუსი ეპისკოპოსი და რუსული სამღვდლოება და საეკლესიო მსახურება მიმდინარეობდეს მხოლოდ რუსულ ენაზე“ (3, 26).

ამრიგად, სასწავლო დაწესებულებების რუსიფიკაციის პარალელურად ხელისუფლება დაუინებით ცდილობდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიისათვის ეროვნული შინაარსის გამოცლას. ცარიზმში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვისა და გალობის აკრძალვით, აგრეთვე, სამეგრელო-სვანეთის ეკლესიებში ღვთისმსახურების ადგილობრივ ენებზე დანერგვით ესწრაფოდა ჩვენში ახიმილატორული პოლიტიკის დანქარებას, მაგრამ ეს გეგმა განმანათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებისა და ქართველი სამღვდლოების თავდადებული ბრძოლის შედეგად ვერ განხორციელდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1996
2. ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987
3. Гершельман Ф., Причины неурядиц на Кавказе, Спб., 1908
4. უერ. მწვემსი, 1884
5. უერ. მწვემსი, 1887
6. უერ. მწვემსი, 1889
7. უერ. მწვემსი, 1892
8. გაზ. დროება, 1882
9. გაზ. ივერია, 1889
10. გაზ. ივერია, 1892
11. გაზ. ივერია, 1894
12. გაზ. ივერია, 1895
13. გაზ. კვალი, 1893
14. გაზ. კვალი, 1895
15. Газ. Кавказ, 1898
16. ფ. 480, აღწ. 3, საქმე 108

Tamar Pkhaladze, Davit Malazonia

### Fight of autocratic Russia against Georgian church language (in the 2<sup>nd</sup> half of the XIX century)

Autocracy declared the uncompromising struggle against the Georgian church. With the purpose of national content eradication it had prohibited the use of Georgian language during sacred service, and every progressively thinking person, public spirited clergy had been relentlessly persecuted. Antinational activity of the department of religious affairs, that created a real danger of loss of the basic church functions, and naturally caused the certain alienation of Georgian people from the Church. And that fact should be explained by the opposition of the Georgian society against reactionary and Russification-oriented church policy, and not by the strengthening of spiritual indifferentism among the people.

The campaign of translation of prayers into Megrelian-Svan languages, that represented the ineffective attempt of these regions' removal from the common national body, was aimed at the demolition of the Georgian church. The firm national attitude of Georgian intelligence, clergy and first of all, of Samegrelo and Svaneti population itself causes the overwhelming defeat of the Autocracy.